საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

17/04/2015 N 48/ო

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში, კოორდინაციის მიზნით, კომისიის შექმნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის №10 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში, კოორდინაციის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის მიმდინარეობის ვადით, შეიქმნას სათათბირო ორგანო - კომისია (შემდგომში - კომისია).

მუხლი 2. დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი ამაშუკელი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

თენგიზ შერგელაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის თანათავმჯდომარე;

გიგა გველესიანი - სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დონორებთან ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

მაკა კორძაძე - სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;

ეკატერინე დადიანი - სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დონორებთან ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის დონორებთან ურთიერთობის სპეციალისტი, კომისიის მდივანი.

მუხლი 3. ეთხოვოს კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობის მიღება:

შიალოან ვანგს - მსოფლიო ბანკის ინფრასტრუქტურის უფროს სპეციალისტს და პროექტის ჯგუფის უფროსს;

ეკატერინე გუნცაძეს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარატმენტის უფროსს;

სოფია სვანაძეს - შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მრჩეველს.

მუხლი 4. დამტკიცდეს კომისიის თანდართული დებულება.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი ამაშუკელმა.

დავით შავლიაშვილი

მინისტრი